

სულხან-საბას ჯენუამ, ის ნიგნი გამახსენა, რომელსაც ახლა ვწერ და კიდევ კარგი რომ ჯერ არ დამიმთავრებია, რადგან ამ ატლასის კარნახით, ისეთი პერსონაჟის იდეა გამიჩნდა, რომელსაც სიამოვნებით ჩავამატებ იმ მომავალ, ჯერარდანერილ რომანში.

ის ჯერარდანერილი და ჯერარდამთავრებული ნიგნი, სინამდვილეში თამარ მეფის ეპოქის ისტორიაა, სადაც ყველაზე მთავარი პერსონაჟი, რასაკვირველია თამარ მეფეა, მაგრამ იმ რომანში, რასაკვირველია, კიდევ ბევრი პერსონაჟია.

თუმცა, რამდენიც არ უნდა იყვნენ ძველი პერსონაჟები, იმედია ამ ახალი პერსონაჟისთვის, მაინც მოიძებნება ადგილი და ის სხვები და ძველები, ცოტას ჩაიჩოჩებენ და სანამ ამ ახალი პერსონაჟის შესახებ ვიტყვი რამეს, ჯერ მინდა თავად ჯენუა გავიხსენო.

სულხან-საბა ორბელიანს ჯენუა კი უწერია, მაგრამ ქართველები უფრო ხშირად, ამ ქალაქს გენუას უწოდებენ და როგორც ქალაქ-სახელმწიფო, ის თითქმის იმავე ეპოქაში წარმოიქმნა, როცა თამარი გამეფდა საქართველოში და გენუაც ისე გაძლიერდა მაშინ, როგორც საქართველოს სამეფო.

გენუა, იგივე ჯენუა, ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობამ, უძლიერეს ქალაქ-სახელმწიფოდ აქცია და ამ არისტოკრატიულმა რესპუბლიკამ, მეთორმეტე საუკუნეში როგორც საზღვაო, ასევე სახმელეთო ტერიტორიების გაფართოება დაიწყო. ზღვაზეც და ხმელეთზეც, მაშინ, ჯენუელების მთავარი მეტოქეები, პიზელები და ვენეციელები იყვნენ, მაგრამ ჯენუა უფრო სწრაფად დაწინაურდა (სხვებთან შედარებითაც) და ამის მთავარი მიზეზი, გენუელების უკეთესი შეიარაღება იყო. უფრო სწორედ კი, ყველაზე ხშირად, გენუას წარმატებას, სწორედ ასე ხსნიდნენ ისტორიკოსები და ახლაც ასე ხსნიან და მაგალითისთვის, ის საბრძოლო ხმალი მოჰყავთ, რომელსაც ცნობილი დამლა ამშვენებდა ორი ნახევარმთვარის გამოსახულებით.

იმ დამლას ლათინურენოვანი წარწერაც ჰქონდა დამზადების ადგილის აღსანიშნავად და ძალიან გარკვევით ეწერა **GENUA** და ეს ხმლები, საქართველოშიც ისე მალე გავრცელდა, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში.

მართალია საქართველოში მათ, გორდა ხმლებს უწოდებდნენ და ამ ხმლებით, ბევრი ბრძოლაც გვაქვს მოგებული, მაგრამ ისიც ფაქტია რომ შუა საუკუნეებში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, გენუელებს სავაჭრო ფაქტორიებიც ჰქონდათ გახსნილი.

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, პირიქით, ჯენუელებმა წაიღეს საქართველოდან ეს ხმალი და მისი სახელწოდებაც, ქართულ სოფელს უკავშირდება და ასეთი სახელის მქონე სოფელი ჩვენს ქვეყანაში, ახლაც არსებობს.

მანამდე კი, უფრო ადრე, ჯენუა ანუ გენუა, ლიგურებით დასახლებული მიწა იყო და გურიასა და ლიგურიას შორის არსებულ უძველეს კავშირებზე, ახლა არ ვისაუბრებ, რადგან ახლა მინდოდა მხოლოდ იმის შესახებ მეთქვა, თუ რამ გამოიწვია სინამდვილეში (ჩვენი სუბიექტური აზრით), მეთორმეტე საუკუნეში გენუელების ასეთი გაძლიერება.

ჩვენი ახსნა მარტივია - ჯენუელებმა სხვა მიწები და წყლები, ჯინსების საშუალებით დაიპყრეს და სიტყვა ჯინსის ეტიმოლოგია, სწორედ ჯენუასთან არის დაკავშირებული და ამ ჯადოსნური ნაჭრისაგან შეკერილი აფრები, ისეთი გამძლე იყო რომ მათი გემები, ყველაზე სწრაფად ახერხებდნენ ყველაზე მღელვარე ზღვების გადალახვასაც. ასე აღმოჩნდნენ ჯენუელები საქართველოშიც ჯინსების აფრების წყალობით, მიუხედავად იმისა რომ გზად, საკმაოდ მღელვარე და არასტუმართმოყვარ, შავი ზღვაც უნდა გამოეველოთ.

რასაკვირველია ახლა, არავინ იცის, თუ ვინ გადაწყვიტა (პირველმა), იმ ზეგამძლე აფრებისაგან შარვლის შეკერვა, მაგრამ ფაქტია რომ პირველი ჯინსებით დამშვენებულმა ჯენუელებმა, უფრო ადრე გაავრცელეს ჯინსები ევროპაში, ვიდრე ოდესეღმა ებრაელებმა (ან სხვებმა) ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქართველოშიც, რასაკვირველია ჯენუელებმა შემოიტანეს პირველი ჯინსები და ჩვენი მომავალი წიგნის ახალი პერსონაჟიც სწორედ ის პირველი ქართველია, ვინც ამ ჯადოსნური შარვლით შეიმოსა (ჩვენი ვერსიით ფოთის მისადგომებთან) და თანაც ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში.

ამიტომაც, სულხან-საბა ორბელიანს, ჩვენგან, კიდევ ერთი მადლობა ეკუთვნის...